ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3580256

ნომერი: AR1544821

თარიღი : 27.09.2017

გაცემის თარიღი : 04.10.2017

გაცნობის თარიღი : 09.10.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ჩიხი კრწანისის I , N 17 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ვასილი ჯალაღონია პ/ნ 62001000952
- ურიცკის ქ.№26

ორგანიზაცია:
- შპს "ალპენ კაუკასუს კომპანი" კოდი: 401957307

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- საცხოვრებელი ობიექტები
  - ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელი სახლი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის

გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა 2017 წლის 27 სექტემბრის AR1544821 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, კრწანისის I ჩიხი, N17–ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 01.18.06.018.084) ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს დაინტერესებაში არსებული და მომიჯნავე მიწის ნაკვეთები წარმოადგენდნენ ერთიანი კონფიგურაციის 01.18.06.015.071 საკადასტრო კოდით დარეგისტრირებულ საკადასტრო ერთეულს, რომლის საპროექტო არეალი უსისტემოდ გაიმიჯნა რის შედეგად წარმოქმნილი საკადასტრო ერთეულების ნაწილს აღარ გააჩნია მისასვლელი სამანქანო გზა და საზოგადოებრივი სივრცე. ასევე ზოგიერთი ნაკვეთი არასწორი გამიჯვნის შედეგად ვერ აკმაყოფილებს ტერიტორიაზე არსებული ფუნქციური ზონის მოთხოვნებს ახალ რეგულაციებთან მიმართებაში.

საკითხის განსახილველად საჭიროა გაერთიანდეს ტერიტორია საწყისი კონფიგურაციით და შემდგომ დააყენოთ ნაკვეთის გამიჯვნის საკითხი სავარაუდო გამიჯვნის სქემის საფუძველზე. ნაკვეთის გამიჯვნა უნდა განახორციელოთ ქალაქგეგმარებითი დასკვნის საფუძველზე.

ამ ეტაპზე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი 2017 წლის 27 სექტემბრის AR1544821 განცხადება.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.